4773/3-122/22 2 30052022

4773/3-122/22
30-05-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, წლების მიხედვით, რამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქეა რეგისტრირებული ბინადრობის მოწმობის მიხედვით 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნების მიხედვით;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, წლების მიხედვით, რამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქეა რეგისტრირებული საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ, 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნების მიხედვით;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, წლების მიხედვით, 2013 წლიდან დღემდე რამდენი კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირია (სახეების მიხედვით) რეგისტრირებული, მათ შორის, რა წილებს ფლობენ და რამდენს რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეები და იურიდიული პირები;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საქართველოში რეგისტრირებულ, კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირთა (სახეების მიხედვით) რაოდენობა, მათ შორის, რა წილებს ფლობენ და რამდენს რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეები და იურიდიული პირები;

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში და პროცედურის დაცვით მოგვაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პარლამენტის წევრი
დავით ხაჯიშვილი